დამტკიცდა დაბა აბასთუმნის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაცია

ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2020 წლის 7 აპრილს №14 დადგენილებით ,,დაბა აბასთუმნის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის - გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმების დამტკიცების თაობაზე“ დაამტკიცა შემდეგი დოკუმენტები - დაბა აბასთუმნის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაცია – ტექსტური ნაწილი; დაბა აბასთუმნის გენერალური გეგმა თანდართულ რუკებთან ერთად; დაბა აბასთუმნის განაშენიანების გეგმები თანდართულ რუკებთან ერთად; დაბა აბასთუმნის განაშენიანების გეგმის/განაშენიანების დეტალური გეგმის დამუშავების პირობები.

ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაცია სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაკვეთით შემუშავდა გის და დზ საკონსულტაციო ცენტრ "გეოგრაფიკის" მიერ. აღნიშნულს წინ უსწრებდა გეგმარებითი დავალების შედგენისთვის წინასაპროექტო კვლევის ჩატარება, სტრატეგიული განვითარების ხედვის (კონცეფცია) ჩამოყალიბება და ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შემუშავებისათვის ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით გეგმარებითი დავალების დამტკიცება.

დაბა აბასთუმნის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტები (გენერალური გეგმა და განაშენიანების გეგმები) წარმოადგენს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის, რეგულირებისა და მართვის სახელმძღვანელო დოკუმენტებს.

მათი შედგენის მიზანს წარმოადგენს ადგილობრივი ჩართულობით, საკანონმდებლო-ნორმატიული აქტების მოთხოვნათა შესაბამისად, დასახლებათა განვითარების პრიორიტეტების, პროცესების, პირობებისა და პროცედურების მეშვეობით, დაბა აბასთუმანში მდგრადი განვითარებისა და მოსახლეობისათვის ჯანსაღი, ღირსეული და უსაფრთხო ცხოვრებისა და მოქმედებისათვის გარემოს ჩამოყალიბებისა და მართვის სამართლებრივ-ნორმატიული და ფუნქციურ-გეგმარებითი წინაპირობების შექმნა.

ამ მიზნის მისაღწევად, დოკუმენტაცია წყვეტს შემდეგ ძირითად ამოცანებს - სახელმწიფო, რეგიონული და ადგილობრივი მნიშვნელობის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების თანხვედრა; დასახლების ტერიტორიის გამოყენების და განაშენიანების ძირითადი პარამეტრების დადგენა; დაბა აბასთუმნის ტერიტორიის და ასევე მისი შემადგენელი კომპონენტების - სატრანსპორტო, საინჟინრო, სოციალურ-კულტურული ინფრასტრუქტურის, სარეკრეაციო და სხვ. ტერიტორიების არსებული მდგომარეობა და სამომავლო განვითარება; კეთილმოწყობის, ბუნებრივი გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სივრცით-ტერიტორიული პირობების განსაზღვრა; შიდა სადაბო განაშენიანების განვითარების საკითხების გადაწყვეტა.

გამომდინარე აქედან, დამტკიცებული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის განხორციელების შედეგად, მას შეუძლია მნიშვნელოვანი და ერთგვარად, კატალიზატორის როლი შეასრულოს ადიგენის მუნიციპალიტეტისა და რეგიონის განვითარების პროცესში.